



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება №110

ქ. ბათუმი

30 ნოემბერი, 2017 წ.

ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის, თამარ მაჭუტაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 17 01436824, 24.11.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის თანდართული წესი (დანართი 1).
2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესი გავრცელდეს დადგენილების გამოცემის შემდეგ შესრულებულ და წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებზე.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სამეცნიერო ნაშრომებში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 24 ივნისის №56 დადგენილება.
4. დადგენილება დაეზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ბსუ-ს გამომცემლობას და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

## ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

1. ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წინამდებარე წესი (შემდეგში „წესი“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომში (სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა: სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, სტატია, წიგნი, შრომები, კრებულები და სხვა), რომელთა გამოცემა უნდა მოხდეს ბსუ-ს გამომცემლობაში, ასევე ბსუ-ს სტუდენტების მიერ შესასრულებელ სამეცნიერო ნაშრომებში (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი და სადოქტორო ნაშრომი/დისერტაცია) ციტირებისათვის და ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (შემდეგში „სტილი“).

2. სამეცნიერო ნაშრომებში ციტირებისათვის და ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის, სხვადასხვა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება ერთ-ერთი სტილი შემდეგი სამიდან:

### ა) სტილი I:

1. ნაშრომში ციტატა ძირითადი ტექსტისაგან გამოიყოფა ბრჭყალებით. ციტირების დასასრულს, მრგვალ ფრჩხილებში, დაისმის ინდექსი, რომელშიც აღნიშნულია: ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი, სასვენი ნიშანი - მძიმე, ტექსტის გამოქვეყნების წელი, სასვენი ნიშანი - ორწერტილი და გაქვეყნებული ტექსტის გვერდის შესაბამისი ნომერი (მაგალითად ციტირება განხორციელდება ამგვარად: ქართულენოვან ნაშრომში (გორდუზიანი, 2007 :181), ინგლისურენოვან ნაშრომში (Kleiber, 1989 :54)).

2. გამოყენებული (დამოწმებული) ლიტერატურის სია სამეცნიერო ნაშრომს უნდა ერთვოდეს ბოლოში და განლაგდეს ანბანური თანმიმდევრობით, ჯერ ქართულ, ხოლო შემდეგ უცხო ენაზე შესრულებული ლიტერატურა.

3. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში) ნაშრომს უნდა დაერთოს:

- ა) წყაროების ჩამონათვალი;
- ბ) დანართები (ცხრილები, გრაფიკები, ტაბულები, ილუსტრაციები);
- გ) შემოკლებათა სია;
- დ) პირთა სამიბელო.

4. გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია რეკომენდებულია შედგეს შემდეგნაირად:

ა) წიგნი ერთი ავტორით (მაგალითი: ზანდუკელი ფიქრია, „წერილები საბავშვო ფოლკლორზე“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი. 1980);

ბ) წიგნი ორი ან მეტი ავტორით - მაგალითი: კეკელიძე კორნელი, ბარამიძე ალექსი, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,“ გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1975;

გ) წიგნი ავტორის გარეშე - მაგალითი: ანდაზა წიგნში: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, თბილისი. 1960;

დ) *ჟურნალის/გაზეთის ან სხვა სახის პერიოდული გამოცემის სტატიის აღნიშვნა* -*მაგალითი:* ერთელიშვილი ფარნაოზ, „ანდაზის ცნების საკითხისათვის“, ჟ. „მნათობი“. № 3, თბილისი. 1957;

ე) *რედაქტორის ან კომპილატორის მითითება* - *მაგალითი:* დუდუჩავა მამია, (რედაქტორი), „ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი. 1975;

ვ) *ენციკლოპედიის ან ლექსიკონის აღნიშვნა (დამოწმება) ხდება ავტორის (ავტორთა გვარების) ან სათაურის მითითებით, ზუსტად ისე, როგორც შიდატექსტური დამოწმების ზემოაღნიშნულ პუნქტებშია მოცემული* - *მაგალითად:* „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, რედაქტორი არაბული ავთანდილ, თბილისი. 2008;

ზ) *ბიბლიის დამოწმების შემთხვევაში* - ფრჩხილებში ჩაიწერება დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ბიბლიური წიგნის შემოკლებული სახელწოდება, სასვენი ნიშანი - წერტილი, შესაბამისი თავის ნომერი, სასვენი ნიშანი - ორწერტილი, ბიბლიის შესაბამისი მუხლი, *მაგალითად:* (დაბ., 15:21); ან (გამ., 15:16);

თ) *გამოუქვეყნებელი ინტერვიუს ან საავტორო ხელნაწერის მითითების შემთხვევაში, მაგალითად:* ჩხაიძე ალექსანდრე, „სკოლა-88“. ხელნაწერი, ბათუმი. 1978;

ი) *თეზისები ან სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები (დებულებები) მიეთითება* - *მაგალითად:* ჩოხარაძე თამარ, „სახელი სამხრულ კილოებში,“ სადოქტორო დისერტაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი. 2017;

კ) *პატენტის აღნიშვნის შემთხვევაში უნდა მიეთითოს:* გვარი, ინიციალი, სრული სათაური. გამოცემის ადგილი, პატენტის ნომერი. გამოქვეყნების თარიღი, განაცხადის ნომერი. განაცხადის შეტანის თარიღი - *მაგალითად* უცხოენოვან ნაშრომში „Cunningham Brian T. Method and instrument for detecting biomolecular interactions. USA Pat . No. 7292336. 6.11.2007. Appl. No.: 11/605,798. Filed: 28.03.2007;

ლ) *საარქივო მასალის აღნიშვნის შემთხვევაში* - *მაგალითად:* ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე №102. 1499;

მ) *ინტერნეტიდან ელექტრონული დოკუმენტის ან მასალის შემთხვევაში მიეთითება:* ავტორის გვარი, სახელი (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი). დოკუმენტის სათაური. ნაშრომის სათაური სრულად. ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი და საიტის მისამართი, *მაგალითად:*

ინტერნეტ-წიგნი დიუმა ალექსანდრე. (ოქტომბერი, 2016). „კავკასია“. მოძიებულია 1 მაისი, 2017, <https://4love.ge/wignebi/120012-aleqsandre-diuma-kavkasia.html>

საგაზეთო სტატია ინტერნეტიდან ხარშილაძე ირმა. (თებერვალი, 2017). „რუსულ ტყვიამფრქვევს სხეულით გადაეფარა და ქართველ იუნკრებს მტერთან ბრძოლის გასაგრძელებლად გაუხსნა გზა“. მოძიებულია 1 მაისი, 2017, <http://www.kvirispalitra.ge/history/33707-qrusul-tyviamfrqvevs-skheulith-gadaefara-da-qarthvel-iunkrebs-mterthan-brdzolis-gasagrdzeblad-gaukhsna-gzaq.html>

ჟურნალის სტატია  
ინტერნეტიდან

კარელიძე თამარ. (აგვისტო, 2016). „ქიმიური იარაღი დამასკოს გარეუბანში - რა შეეშალა დასავლურ მედიას?“ მოძიებულია 1 მაისი, 2017, <http://mediachecker.ge/mediawiki/detail/51/>

ნ) ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე ნაშრომი (ცალკე ან თანაავტორობით) ან ერთი და იგივე ნაშრომი (გაგრძელებებით) რამდენიმე ნომერში სამეცნიერო ნაშრომში უნდა მიეთითოს ანბანური განრიგით, მაგალითად: (კაკაბაძე 1921ა: 21), (კაკაბაძე 1921ბ: 27).

## ბ) სტილი II:

1. სამეცნიერო ნაშრომში ცნობილი ცნებების, დებულებებისა და სხვა ფაქტების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია კვადრატულ ფრჩხილებში მიეთითოს შესაბამისი სამეცნიერო შრომის რიგითი ნომერი ბიბლიოგრაფიის მიხედვით, მაგალითად: [1], [5], [26];

2. ერთზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის მითითების შემთხვევაში კვადრატულ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს სამეცნიერო ნაშრომის რიგითი ნომრები, ერთმანეთისაგან მძიმეების გამოყოფით, მაგალითად: [2, 26, 15];

3. ბიბლიოგრაფია ნაშრომს უნდა ერთვოდეს ბოლოს, სამეცნიერო შრომები უნდა გადაინომროს, თითოეული რიგითი ნომერი ჩაიწეროს კვადრატულ ფრჩხილებში და დალაგდეს ანბანური თანმიმდევრობით, ჯერ მიეთითოს ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომები, შემდეგ - უცხოურ ენებზე.

4. *გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია რეკომენდებულია შედგეს შემდეგნაირად:*

ა) *წიგნი ერთი ავტორით (მაგალითი: [1] E. Spanier, Algebraic Topology, *McGraw-Hill*, 1966;*

ბ) *წიგნი ორი ან მეტი ავტორით - მაგალითი: [1] S. Eilenberg and N. Steenrod, Foundation of Algebraic Topology, *Princeton University Press*, 1952;*

გ) *სტატიის აღნიშვნა - მაგალითი: [1] V. Baladze, Characterization of precompact shape and homology properties of remainders, *Topology Appl.* 142 (2004), no. 1-3, 181-196;*

დ) *გამოუქვეყნებელი საავტორო ხელნაწერის მითითების შემთხვევაში - მაგალითად: [1] V. Baladze and A. Beridze, Alexander-Spanier normal cohomology groups, to appear.*

ე) *თეზისების მითითების შემთხვევაში - მაგალითად: [1] V. Baladze, Coshape theory and applications, Crech Republ., Brno, 2009.*

5. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში) ნაშრომს უნდა დაერთოს:

ა) წყაროების ჩამონათვალი;

ბ) დანართები (ცხრილები, გრაფიკები, ტაბულები, ილუსტრაციები);

გ) შემოკლებათა სია;

დ) პირთა საძიებელი.

### ბ) სტილი III:

1. ბსუ-ში სამეცნიერო ნაშრომების/აკადემიური ტექსტების გაფორმების სტილად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. „APA“ (American Psychological Association).

2. APA-ს სტილი დროთა განმავლობაში იცვლება და მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულმა პირებმა თვალყური ადევნონ მიმდინარე ცვლილებებს. სტილის ოფიციალურ მისამართებზე: American Psychological Association Publication Manual of the American Psychological Association, 5th ed. (Washington, D.C.: American Psychological Association, 2001). [www.apastyle.org](http://www.apastyle.org)